პროექტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2016 წლის 24 თებერვლის
1933 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
ვერსია მომზადებულია
აკადემიურ საბჭოზე
განსახილველად

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობის მენეჯმენტი
Construction of Management

ფაკულტეტი

სამშენებლო
Civil Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი მურმან ბაქრაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მშენებლობის მენეჯმენტის მაგისტრი (Master of construction management) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდებისგავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება

წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები;

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი). სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუალედურ შეფასებებში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი.

შუალედური შეფასებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეაფსების ჯამური - 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), ან აღნიშნული შეფასებების ჯამური 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგისტრანტს უფლება აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისა. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

მაგისტრანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში შედგება შუალედურ შეფასებასგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას, და დასკვნით გამოცდისგან. შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მიერ და გაწერილია სილაბუსებში.

საგნმანათლებლო პროგრამა მოიცავს:
სასწავლო კომპონენტს - 75 კრედიტი და კვლევით კომპონენტს - 45 კრედიტი.

პირველ სემესტრში მაგისტრანტის წავლობს ხუთ 5 კრედიტიან სავალდებულო სასწავლო კურსის პროგრამას და ერთ არჩევით 5 კრედიტიან სასწავლო კურსის პროგრამას.
მეორე სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს სავალდებულო ოთხ 5 კრედიტიან სასწავლო კურსის პროგრამას და ერთ არჩევით 5 კრედიტიან სასწავლო კურსის პროგრამას, ასევე აქვს სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი, რომელიცმოცავს 5 კრედიტს.
მესამე სემესტრში მაგისტრანტის წავლობს სამსავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსის პროგრამას, გადის ერთ 5 კრედიტიანსაწარმოო პრაქტიკას-სამშენებლო კომპანიის პრაქტიკულ მენეჯმენტში, ასევე აქვს 10 კრედიტიანი თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი.

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს 30 კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს.
ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად.
მაგისტრის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_Sd.pdf

კვლევითიკომპონენტი
მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესაბამის ორგანიზაციაში.

სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი
სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც მაგისტრანტმა უნდა დაასრულოს სწავლის მეორე სემესტრში.

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმი
თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავება, მკაფიო წარმოდგენის შექმნა მთავარი პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი

საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა.

საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა

საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომში ასახული უნდა იყოს ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევით მიღებული შედეგები.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი შესახებ იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debul_kvl_komp_Sefa__SDwesi.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi%20_5_Sd.pdf

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაეცანით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/doqtorantura_debuleb_2014.10.14_SD.pdf

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სამშენებლო ბიზნესპროცესების დაგეგმვის, კოორდინირებისა და მონიტორინგის, საინვესტიციო პროექტების, საპროექტო და სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მენეჯერების მომზადება.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება – აქვს მშენებლობის მენეჯმენტის, როგორც მართვის ხელოვნების თანამედროვე თეორიული ასპექტების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში;

იცის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას მრავალდონიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

აცნობიერებს საინვესტიციო კომპლექსში მონაწილე სუბიექტებს შორის კავშირების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებს; ყველა დონის მენეჯერის ფუნქციას, მოვალეობასა და პასუხისმგებლობას სამშენებლო პროდუქციის შექმნის, საინვესტიციო პროექტის განხორციელების ამა თუ იმ ეტაპზე. სამშენებლო ბიზნესის, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის,ასევე ინოვაციების როლს საინვესტიციოპროექტების ეფექტურად მართვაში; საინვესტიციო ბაზრის კონიუნქტურულ ციკლსა და საინვესტიციო პროექტების შეფასების სისტემას; უძრავი ქონების ღირებულების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, აღნიშნულ პროცესებში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია: სამშენებლო კომპანიებში ფინანსური რესურსების ფორმირებისა და ხარჯვის პროცესების გაძღოლა;ბიზნეს-პროექტების მონიტორინგი და განხორციელების შემდგომი აუდიტი;მენეჯმენტში არსებული ცალკეული პრობლემის შეფასებისა და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება; სამშენებლო სფეროში არსებული მარკეტინგული გარემოს შეფასება და მაღალპროფესიული მენეჯერული უნარების სრულფასოვანი გამოყენება პრაქტიკულ მარკეტინგში; ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში სამშენებლო პროცესების ანტიკრიზისული მართვა და კონტროლი; გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის დამოუკიდებლად მოდელირება, ასევე, აღნიშნულ პროცესში მიღებული შედეგების სანდოობის გაზრდის მიზნით, ახალი, ორიგინალური გზების ძიება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი – აქვს: მშენებლობის პროექტირების დროს, საინვესტიციო საქმიანობისასხარჯებთან

დაკავშირებული,სამშენებლო რესურსის ფასების არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; წარმატებული საბიუჯეტი სისტემის შექმნის მიზნით, საბიუჯეტო პროცესის წარმოების ცალკეულ საფეხურებსა და პროცედურულ საკითხებზე კრიტიკული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების უნარი;

კომუნიკაციის უნარი – აქვს: მშენებლობის მენეჯმენტის სფეროშითავისიდასკვნების, არგუმენტებისადაკვლევისმეთოდებისკომუნიკაციის უნარიაკადემიურთუპროფესიულსაზოგადოებასთანქართულდაუცხოურენაზე;იდეების, საპროექტოწინადადებების, პროექტის მიმდინარეობის თუ საბოლოო ანგარიშის დეტალური,ლოგიკურადგამართული,წერილობითი ფორმით მომზადების და ფართო საზოგადოების წინაშეპრეზენტაციის უნარი.

სწავლის უნარი – აქვს: მშენებლობის მენეჯმენტისსწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვისდა მისი თავისებურებების გაცნობიერების უნარი;პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისდა დაგეგმვის მაღალი დონე;მარკეტინგის თეორიის შესწავლის და პრაქტიკის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის შემდგომი სრულყოფის მიზნით, საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში მოქმედი მარკეტინგული სკოლების გამოცდილების გაზიარების უნარი; მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში დაცული და ინტერნეტით გავრცელებული უახლესი მიღწევების დამოუკიდებლად შესწავლის უნარი.

ღირებულებები – აქვს: სამშენებლო კომპანიაში მენეჯერული საქმიანობის, მენეჯმენტის ყველა საფეხურსა და რგოლში დასაქმებულ ადამიანთა ცოდნის, უნარებისა და ინიციატივების გამოვლენისა და ბიზნეს-პროცესების ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სახელმწიფოში არსებული საფინანსო პოლიტიკის სამართლიანი საზოგადოების იმიჯის ფორმირების მიზნით, გადასახადების აკრეფისა და ამოღების პროცედურების სრულყოფის საკითხებზე თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა დაპროფესიული ღირებულებების დაცვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☐ საკურსო სამუშაო/პროექტი☒კონსულტაცია☒ დამოუკიდებელი მუშაობა☒ სამაგისტრო ნაშრომი

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
5. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი

სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

-შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

15. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური

პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

17. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
18. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
19. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა დ აუნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტებიდა ა.შ.);
- მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის ზედამხედველობისა და კეთილმოწყობის სამსახურებში;
- სახელმწიფო და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (ფირმები, კომერციული ბანკები, კორპორაციები, სადაზღვევო და საშუამავლო-სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები);
- სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო სექტორში;
- აუდიტორულ ფირმებში;
- საგადასახადო და საფინანსო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 27

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	**არჩევითი სასწავლო კურსი:** ბიზნესკომუნიკაცია		**5**			
1.1	ბიზნესკომუნიკაცია(ინგლისური)	არ გააჩნია				
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)					
1.3	ბიზნესკომუნიკაცია(გერმანული)					
1.4	ბიზნესკომუნიკაცია(რუსული)					
2	**არჩევითი სასწავლო კურსი:** დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა			**5**		
2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია				
2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ გააჩნია				
2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ გააჩნია				
2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ გააჩნია				
3.	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში	არ გააჩნია	**5**			
4.	მარკეტინგის მენეჯმენტი	არ გააჩნია	**5**			
5.	საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	არ გააჩნია	**5**			
6	**არჩევითი სასწავლო კურსი:**		**5**			
6.1.	შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება	არ გააჩნია				
6.2.	მონოლითური სახლმშენებლობის ტექნოლოგია	არ გააჩნია				
6.3.	სამშენებლო კონსტრუქციები (სპეცკურსი)	არ გააჩნია				
6.4.	არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	არ გააჩნია				
7.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	არ გააჩნია	**5**			
8	**არჩევითი სასწავლო კურსი:**			**5**		

8.1.	საგადასახადო პოლიტიკა	არ გააჩნია				
8.2.	სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა	არ გააჩნია				
8.3.	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში				
8.4.	ბიზნეს გეგმა მშენებლობაში	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში				
9.	ოპერაციების მენეჯმენტი მშენებლობაში	არ გააჩნია		**5**		
10.	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ გააჩნია		**5**		
11.	რისკ მენეჯმენტი მშენებლობაში	არ გააჩნია		**5**		
12.	უძრავი ქონების შეფასება და აუდიტი	არ გააჩნია			5	
13.	სტრატეგიული მენეჯმენტი	არ გააჩნია			5	
14.	ლოგისტიკა	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში			5	
15.	სამშენებლო კომპანიის პრაქტიკული მენეჯმენტი -საწარმოო პრაქტიკა	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში			5	
		სემესტრში:	**30**	**25**	20	-
		სულ:	75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ გააჩნია		**5**		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი				30
		სულ სემესტრში:	**30**	**30**	**30**	**30**
		სულ წელიწადში:	**60**		**60**	
		სულ:	**120**			

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	**არჩევითი სასწავლო კურსი:** ბიზნეს კომუნიკაცია						
1.1	ბიზნეს კომუნიკაცია(ინგლისური)	X	X		X	X	X
1.2	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	X	X		X	X	X
1.3	ბიზნეს კომუნიკაცია(გერმანული)	X	X		X	X	X
1.4	ბიზნეს კომუნიკაცია(რუსული)	X	X		X	X	X
2	**არჩევითი სასწავლო კურსი:** დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა						
2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	X	X	X	X		
2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	X	X	X	X		
2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	X	X	X	X		
2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	X	X	X	X		
3	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში	X	X		X		X
4	მარკეტინგის მენეჯმენტი	X	X			X	X
5	საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	X	X				X
6	**არჩევითი სასწავლო კურსი:**						
6.1	შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება	X	X	X	X		
6.2	მონოლითური სახლმშენებლობის ტექნოლოგია	X	X	X			
6.3	სამშენებლო კონსტრუქციები (სპეცკურსი)	X	X		X		
6.4	არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	X	X		X		
7	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X	X		X
8	**არჩევითი სასწავლო კურსი:**						
8.1	საგადასახადო პოლიტიკა	X	X			X	X
8.2	სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა	X	X	X			X
8.3	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	X	X	X		X	
8.4	ბიზნეს-გეგმა მშენებლობაში	X	X	X	X		
9	ოპერაციების მენეჯმენტი მშენებლობაში	X	X	X		X	

10	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	X	X				X
11	რისკ მენეჯმენტი მშენებლობაში	X	X	X			X
12	უძრავი ქონების შეფასება და აუდიტი	X	X	X		X	
13	სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X	X	X		
14	ლოგისტიკა	X	X	X		X	
15	სამშენებლო კომპანიის პრაქტიკული მენეჯმენტი - საწარმოო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
კვლევითი კომპონენტი:							
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	X	X	X	X	X	X
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	X	X	X	X	X	X
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული/დასკვნითი გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	**არჩევითი სასწავლო კურსი:** ბიზნესკომუნიკაცია											
1.1	LEH12412G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	5/125			45				1	1	78
1.2	LEH12212G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	5/125			45				1	1	78
1.3	LEH12612G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	5/125			45				1	1	78
1.4.	LEH12812G1-P	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	5/125			45				1	1	78
2.	**არჩევითი სასწავლოკურსი:** დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა		5/125							1	1	78
2.1.	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30				1	1	78
2.2.	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30				1	1	78
2.3.	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30				1	1	78

2.4.	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30				1	1	78
3.	PRJMC01GA1	პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში	5/125	15	30					1	1	78
4.	MARKM01GA1	მარკეტინგის მენეჯმენტი	5/125	30	15					1	1	78
5.	ACCOU01GA1	საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	5/125	15		30				1	1	78
6		**არჩევითი სასწავლო კურსი:**	5/125							1	1	78
6.1.	BVTDE01GA1	შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება	5/125	30	15					1	1	78
6.2.	HBMTE01GA1	მონოლითური სახლმშენებლობის ტექნოლოგია	5/125	30	15					1	1	78
6.3.	BCSPC01GA1	სამშენებლო კონსტრუქციები (სპეცკურსი)	5/125	15		30				1	1	78
6.4.	LEPAC06GA1	არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	5/125	30	15					1	1	78
7.	COPEM01GA1	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5/125	30	15					1	1	78
8		**არჩევითი სასწავლო კურსი:**	5/125							1	1	78
8.1.	TXTSL01GA1	საგადასახადო პოლიტიკა	5/125	15	30					1	1	78
8.2.	FEBFP01GA1	სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა	5/125	30	15					1	1	78
8.3.	ECMUR01GA1	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	5/125	30		15				1	1	78
8.4.	BPBUC01GA1	ბიზნეს გეგმა მშენებლობაში	5/125	15		30				1	1	78
9.	OPEMC01GA1	ოპერაციების მენეჯმენტი მშენებლობაში	5/125	15	30					1	1	78
10.	IAFDC01GA1	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	5/125	30		15				1	1	78
11.	RSKMC01GA1	რისკ მენეჯმენტი მშენებლობაში	5/125	15		30				1	1	78
12.	EARES01GA1	უძრავი ქონების შეფასება და აუდიტი	5/125	15	30					1	1	78
13.	STRMN01GA1	სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
14.	LOGIS01GA1	ლოგისტიკა	5/125	30	15					1	1	78
15.	INPRC01GA1	სამშენებლო კომპანიის პრაქტიკული მენეჯმენტი - საწარმოო პრაქტიკა	5/125					45		1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი მურმან ბაქრაძე

სამშენებლო ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მარინა ჯავახიშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი ზურაბ გვიშიანი

მიღებულია
სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე ოქმი №3
10.02.2016

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N1. 05.02.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ გვიშიანი